Funded through the Alumni Grants Program,
U.S. Embassy in Georgia

საერთაშორისო სადოქტორო განათლების გამოცდილება - გაკვეთილები და დასკვნები ქართული სადოქტორო განათლების კონტექსტში

[პოლიტიკის დოკუმენტი]

თათია ჩიხლაძე

ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა CSS-ის პროექტის "ამერიკული მოდელის სადოქტორო განათლების განვითარება საქართველოში" აშშ საელჩოს კურსდამთავრებულთა საგრანტო პროგრამის დაფინანსებით

აღნიშნულ დოკუმენტში საუბარი იქნება საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილებაზე, რა დადებითი მხარეები გააჩნია მსგავს პროექტებს, რა სარგებელს/შესაძლებლობებს სთავაზობენ ისინი დოქტორანტებს და რისი გათვალისწინება იქნებოდა სასურველი, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართული სადოქტორო პროგრამების კონტექსტში.

ზემოხსენებული გამოცდილება 2015-2018 წლებში მივიღე, როცა ახალგაზრდა მკვლევრის სტატუსით (Early-Stage Researcher) ვიყავი დოქტორანტი ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრში (Research Center for East European Studies at the University of Bremen). სადოქტორო კვლევას აფინანსებდა ევროკომისია, „მარი სკლოდოვსკა-კიურის ინოვაციური ტრენინგის ქსელის" პროექტის სახით (Marie Curie Innovative Training Network). ამავე პერიოდში, ვიყავი აფილირებული მკვლევარი ბრემენის სოციალური მეცნიერებების უმაღლეს საერთაშორისო სკოლაში (Bremen International Graduate School of Social Sciences - BIGSSS).

აღნიშნულ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობამ ძალიან დიდი როლი შეასრულა პროექტში მონაწილე დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარებასა და სადოქტორო ნაშრომების წარმატებით დასრულებაში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ის, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტები უზრუნველყოფილნი იყვნენ ყოველთვიური ხელფასით. ეს მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც კვლევის პარალელურად, დოქტორანტებს არ ჰქონდათ მუშაობის საჭიროება და ჰქონდათ საშუალება, ფოკუსირებულნი ყოფილიყვნენ საკუთარ კვლევებზე. აღნიშნული საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს დოქტორანტებისთვის ქართულ კონტექსტში, ვინაიდან მათ არ აქვთ სტაბილური შემოსავალი, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, თავად უწევთ სადოქტორო განათლების საფასურის გადახდა. აქედან

გამომდინარე, ისინი იძულებულნი არიან, იმუშაონ სადოქტორო ნაშრომის წერის პარალელურად, რაც შეუძლებელს ხდის კვლევაზე მუშაობის დასრულებას იმ პერიოდში, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი რეგულაციებით.

მარი სკლადოვსკა-კიურის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ასევე თითოეული დოქტორანტისთვის გამოყოფილი იყო გარკვეული საკვლევი ბიუჯეტი (research budget), რომელიც უდიდეს როლს ასრულებს სადოქტორო კვლევის დროულად და წარმატებულად დასრულებაში. პირველ რიგში, მისი საშუალებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, რომ მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებში, რაც მნიშვნელოვანია როგორც მის სფეროში უახლესი სიახლეების გასაცნობად, ასევე მისი კვლევის საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად და ღირებული კომენტარების მისაღებად სხვა მეცნიერების მხრიდან. საყურადღებოა, რომ მსგავსი სამეცნიერო კონფერენციები ასევე ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტაქტების დამყარებაში მსგავსი საკვლევი ინტერესების მქონე სხვა უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენელ მკვლევარებთან.

გარდა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებისა, საკვლევი ბიუჯეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მეთოდოლოგიური ტრენინგის საფასურის ანაზღაურებასაც. ბუნებრივია, მარი სკლადოვსკა-კიურის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები შესაბამის უნივერსიტეტებში არიან სხვადასხვა უმაღლესი სადოქტორო სკოლის წევრები და აქვთ წვდომა სხვადასხვა სახის მეთოდოლოგიურ კურსებზე. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი თვლის, რომ ის კურსები, რაც უნივერსიტეტის დონეზეა წარმოდგენილი სრულყოფილად არ ფარავს კონკრეტულ კვლევით საჭიროებებს, მას აქვს შესაძლებლობა, კვლევითი ბიუჯეტის ფარგლებში მოიპოვოს დაფინანსება კონკრეტული მეთოლოგიური ტრენინგისთვის.

რაც მთავარია, კვლევითი ბიუჯეტი ფარავს ნებისმიერი სადოქტორო კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს - საველე სამუშაოებს. ამ შემთხვევაში, დოქტორანტს აღარ უწევს, ფინანსური მიზეზის გამო (მაგ: მგზავრობა, საცხოვრებლის ხარჯები და ა.შ) შეიზღუდოს კვლევითი ინტერესები. კიდევ ერთი ფაქტორი, რასაც დადებითი გავლენა აქვს დოქტორანტის კვლევითი ამოცანების დასახულ დროში განხორციელებაზე არის, კვლევითი ბიუჯეტის ფარგლებში, ასისტენტის რესურსის გამოყენება. ასისტენტი ძალიან დიდ როლს ასრულებს საკვლევი მასალების შეგროვებაში, მათ სისტემატიზაციაში, ინტერვიუების ტრანსკრიპტების მომზადებაში და ა.შ., რაც დოქტორანტს საშუალებას აძლევს, მეტი დრო დაუთმოს უშუალოდ მოპოვებული მონაცემების გაანალიზებას.

აქამდე აღნიშნული ფაქტორები ძირითადად დაკავშირებული იყო სადოქტორო პროგრამის ფინანსურ მხარესთან, რაც მნიშვნელოვნად უადვილებს დოქტორანტს საკვლევი ამოცანების მიღწევას. გარდა

ფინანსური უზრუნველყოფისა, აღნიშნული სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი დადებითი მხარეა ის კვლევითი ქსელი, რომელიც მის ფარგლებში ჩამოყალიბდა. აღნიშნულ ქსელში წარმოდგენილია ევროპის 7 უნივერსიტეტი (აკადემიური პარტნიორები) და მაღალი რეპუტაციის მქონე კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები (არააკადემიური პარტნიორები). პროექტის ფარგლებში, დოქტორანტებს საშუალება ჰქონდათ, რომ სტაჟირებები გაევლოთ საკუთარ კვლევით ინტერესებთან დაკავშირებულ აკადემიურ თუ არააკადემიურ დაწესებულებებში. ეს მნიშვნელოვანია მასპინძელ ინსტიტუტში კვლევის წარდგენისა და კომენტარების მიღების, ადგილზე არსებულ რესურსებზე (როგორც ელექტრონული მონაცემთა ბაზები, ისე წიგნები) წვდომის მოპოვებისა და ზოგადად, მსგავს სფეროში მომუშავე ხალხთან კონტაქტების დამყარების თვალსაზრისით.

აღნიშნული საერთაშორისო კვლევითი ქსელის დადებითი როლი ასევე გამოიხატება იმაში, რომ მისი წყალობით შეძენილი კონტაქტები პროექტის მონაწილე პროფესორებსა და სტუდენტებს შორის გრძელდება უშუალოდ პროექტის ვადის ამოწურვის შემდეგაც და დადებით როლს ასრულებს საერთო აკადემიური პუბლიკაციების მომზადების თუ საერთო კვლევით პროექტებში მონაწილეობის სახით.

რაც შეეხება უშუალოდ სადოქტორო კვლევის წერის კომპონენტს, აქ ხაზგასმას იმსახურებს ორი ძირითადი ფაქტორი: პირველი, რეგულარული ზედამხედველობა აკადემიური ხელმძღვანელების მხრიდან. ევროპულ უნივერსიტეტებში დასაქმებულ პროფესორებს, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ დოქტორანტებს, თემის ხელმძღვანელობა სამუშაო დატვირთვაში ეთვლებათ და ისინი ამაში შესაბამის ანაზღაურებასაც იღებენ. ამ შემთხვევაში, პროფესორს აქვს უფრო მეტი დროც და მოტივაციაც, რომ აქტიურად იყოს ჩართული სადოქტორო კვლევის წერის ყველა ეტაპზე. თემის ხელმძღვანელის აქტიური ჩართულობა კვლევის წერის პროცესში მნიშვნელოვან დადებით როლს ასრულებს სტუდენტის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევასა და კვლევის წინ შედარებით სწრაფად წაწევაში.

მეორე, რეგულარული უკუგება, რომელსაც სტუდენტი იღებს არა მხოლოდ მისი თემის ხელმძღვანელისგან, არამედ უმაღლესი სადოქტორო სკოლის წარმომადგენელი სხვა სტუდენტებისგან და პროფესორებისგან. აღსანიშნავია, რომ კვირის განმავლობაში, ბრემენის უნივერსიტეტში იმართებოდა სულ მცირე ორი სადოქტორო კოლოკვიუმი მსგავსი საკვლევი ინტერესების მქონე პირების მონაწილეობით. აღნიშნულ კოლოკვიუმებზე მოხსენებებით წარსდგებოდნენ არა მხოლოდ დოქტორანტურის სტუდენტები, არამედ პროფესორებიც. ერთის მხრივ ეს სადოქტორო კოლოკვიუმები იყო ძალიან დიდი პრაქტიკული ღირებულების მქონე, ვინაიდან დოქტორანტი ბევრს იგებდა და სწავლობდა მათ შორის სხვების მიერ გაკეთებული კომენტარებითა და მათზე რეაგირებით. ეს გამოცდილება და ცოდნა შემდგომში დიდ როლს ასრულებდა საკუთარი პროექტის დახვეწის

მიმართულებით. მეორეს მხრივ, ზემოხსენებული კოლოკვიუმები იყო უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს შორის თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითი. ვინაიდან კოლოკვიუმი აერთიანებდა კონკრეტული კვლევითი ინტერესების მქონე პირებს, მასში მონაწილეობას იღებდნენ მსგავსი ინტერესების მქონე სტუდენტები და პროფესორები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ქართული სადოქტორო განათლების ხარისხის ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა შემდეგი სახის რეკომენდაციების გაზიარება:

- დოქტორანტურის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული ფინანსური გარანტიები ხელფასის ან სტიპენდიის სახით, რათა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პარალელურად არ ჰქონდეთ სხვა დამატებითი სამსახურის საჭიროება და შეძლონ კვლევითი პროექტების დროულად დასრულება;
- სადოქტორო ნაშრომების დროულად და წარმატებით დასრულებისთვის მნიშვნელოვანია, სტუდენტებისთვის გამოყოფილი იყოს საკვლევი ბიუჯეტი, რომელიც დაფარავს საველე სამუშაოების, საერთაშორისო კონფერენციებსა და მეთოდოლოგიურ ტრენინგებზე დასწრების ხარჯებს, გარდა ამისა, საშუალებას მისცემს დოქტორანტებს, ისარგებლონ ასისტენტის დახმარებით;
- სასურველია, ერთი მხრივ, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგოს სადოქტორო კოლოკვიუმების პრაქტიკა და მეორე მხრივ, ხელი შეეწყოს აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორებსა და დოქტორანტურის სტუდენტებს შორის, რათა სადოქტორო კოლოკვიუმების ფორმატში მოხდეს მოსაზრებებისა და გამოცდილებების აქტიური გაცვლა;
- ვინაიდან დოქტორანტების მიერ შესრულებული კვლევების ხარისხზე პირდაპირი გავლენა აქვს თემის ხელმძღვანელის ჩართულობას, პროფესორების მოტივაციის ამაღლებისა და დოქტორანტთა კვლევების ხელმძღვანელობაში უფრო აქტიურად ჩართვისთვის სასურველია, მოხდეს მათი დატვირთვის დაბალანსება და გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურების განსაზღვრა.